

“დამტკიცებულია”

სსიპ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა
და სპორტის კოლეჯის დირექტორის
2020 წლის 15.06. N 03-03 ბრძანებით

სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის

სახელმწიფო კოლეჯი

მისიის, ხედვის, ღირებულებების, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის
შემუშავების, განხილვის, მათში ცვლილებების შეტანის, დამტკიცებისა და
გაზიარების მეთოდოლოგია. სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების
მონიტორინგისა და ანგარიშგების წესი



თბილისის 2020წ.

ზოგადი დებულებანი

1. წინამდებარე წესი განსაზღვრავს სსიპ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯის (შემდგომში - კოლეჯი) მისიის, ხედვის, ღირებულებების, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შემუშავების, განხილვის, მათში ცვლილებების შეტანის, დამტკიცებისა და გაზიარების მექანიზმების. ასევე, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის მონიტორინგსა და ანგარიშგებასთან დაკავშირებულ საკითხებს.
2. ამ წესით გათვალისწინებული მექანიზმების განხორციელებაზე პასუხისმგებელია წინამდებარე წესით განსაზღვრული პასუხისმგებელი პირი/ები, აგრეთვე კოლეჯის ხელმძღვანელი და თანამშრომლები, რომლებიც ხელმძღვანელობენ საქართველოს კანონმდებლობით, კოლეჯის აქტებითა და წინამდებარე წესით.

მუხლი 1. ტერმინთა განმარტება

- 1.1. **კოლეჯის მისია** - მისია არის კოლეჯის იდენტობის განმსაზღვრელი განაცხადი იმის თაობაზე, თუ როგორ, რა მიდგომით აპირებს იგი სასურველი სამომავლო სურათის/ხედვის მიღწევას, თუ რა არის მისი ძირითადი მიზანი და რისთვისაა იგი შექმნილი.
- 1.2. **კოლეჯის ხედვა** - ხედვა არის კოლეჯის მიერ დანახული სასურველი მომავლის სურათი, რომლის მიღწევაც მის საბოლოო მიზანს წარმოადგენს.
- 1.3. **კოლეჯის ღირებულებები** - არის იმ ძირითადი პრინციპების ერთობლიობა, რომლის ფარგლებშიც მოქმედებს კოლეჯი. ღირებულებებში გაზიარებულია კოლეჯის მისიაში გაცხადებული მიზნების მიღწევის გზები, როგორცაა: გუნდური მუშაობა, პროფესიონალიზმი, ინოვაცია, ღიაობა, სამართლიანობის დაცვა, ადამიანის უფლებათა დაცვა, თანასწორობა და ა.შ.
- 1.4. **სტრატეგიული გეგმა** - სტრატეგია (ანუ სტრატეგიული გეგმა) არის ორგანიზაციის მიერ, მრავალწლიან პერსპექტივაში დანახული განვითარების მიმართულება. იგი გვეუბნება, თუ რა მასშტაბური ნაბიჯების გადადგმა სურს ორგანიზაციას.
- 1.5. **სამოქმედო გეგმა** - სამოქმედო გეგმა არის სტრატეგიულ გეგმაში წარმოდგენილი მიზნების მიღწევისათვის საჭირო კონკრეტული ნაბიჯების ასახვა.

მუხლი 2. მისიის, ხედვის, ღირებულებების შემუშავება, განხილვა, მათში ცვლილებების შეტანა, დამტკიცება, გაზიარება.

- 2.1. კოლეჯის სტრატეგიული დაგეგმვის პროცესის პირველი ეტაპი მოიცავს მისი ხედვის, მისიისა და მთავარი ღირებულებების განსაზღვრას.
- 2.2. პროფესიული სასწავლებლების მისია აუცილებლად უნდა შეესაბამებოდეს პროფესიული განათლების მიზნებს; ხელს უწყობდეს მათ რეალიზებას.
- 2.3. მისია უნდა იყოს მოკლე, გასაგები, მამოტივირებელი, ორგანიზაციული ღირებულებების ამსახველი და საზოგადოებრივი სიკეთის შექმნაზე ორიენტირებული.
- 2.4. კოლეჯის მისია, ხედვა, ღირებულებები უნდა შემუშავდეს გუნდურად, ორგანიზაციის თანამშრომლების ჩართულობით.
- 2.5. კოლეჯის მისიის, ხედვის და ღირებულებების შემუშავების მიზნით იქმნება სამუშაო ჯგუფი

რომლის შემადგენლობაშიც შედიან კოლეჯის დირექტორი, მოადგილე სასწავლო დარგში, ადმინისტრაციის თანამშრომლები და კოლეჯის მასწავლებლები (დარგის სპეციალისტები).

2.6. პროფესიული განათლების მიზნებიდან გამომდინარე, ქვეყანაში მიმდინარე პროცესების, სიახლეების, ასევე პროფესიული სტანდარტებისა და კოლეჯის მიერ განსახორციელებელი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების გათვალისწინებით ჯგუფი შეიმუშავებს მისიის/ხედვის/ღირებულებების პროექტს, რომელსაც თავდაპირველად გააცნობს კოლეჯის კოლექტივს. მისი მოსაზრებების გაცნობისა და გათვალისწინების შემდეგ პროექტი დასამტკიცებლად წარედგინება კოლეჯის დირექტორს.

2.7. კოლეჯის მისიაში, ხედვასა და ღირებულებებში ცვლილების შეტანა ხორციელდება ამ მუხლის 2.4-2.7 პუნქტებით დადგენილი პროცედურებით.

2.8. ნებისმიერი ცვლილება და/ან დამატება კოლეჯის მისიაში, ხედვასა და ღირებულებებში გამოქვეყნებულ უნდა იქნეს საჯაროდ კოლეჯის ვებ-გვერდზე.

მუხლი 3. სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შემუშავება, განხილვა, მათში ცვლილებების შეტანა, დამტკიცება, გაზიარება.

3.1. კოლეჯის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმა უნდა შეიმუშავდეს გუნდურად, დაწესებულების ადმინისტრაციისა და თანამშრომლების აქტიური ჩართულობით.

3.2. სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შემუშავების მიზნით კოლეჯის დირექტორი ქმნის სამუშაო ჯგუფს, რომლის შემადგენლობაშიც აუცილებელ წევრად უნდა განისაზღვროს კოლეჯის დირექტორის მოადგილე, ხარისხის მართვის მენეჯერი, სასწავლო პროცესის მენეჯერი, ბუღალტერი, პროფორიენტაციისა და კარიერული დაგეგმვის მენეჯერი, PR და HR მენეჯერი და იურისტი.

3.3. პროფესიული განათლების მიზნებიდან გამომდინარე, ქვეყანაში მიმდინარე პროცესების, სიახლეების, კოლეჯის მიერ განსახორციელებელი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების, კოლეჯის მიერ განხორციელებული კვლევების გათვალისწინებით ჯგუფი შეიმუშავებს სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებს.

3.4. სამუშაო ჯგუფის მიერ შეიმუშავებული სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის პროექტ(ებ)ი განსახილველად წარედგინება კოლეჯის დირექტორს.

3.5. კოლეჯის დირექტორი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით (ბრძანება) ამტკიცებს კოლეჯის სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებს.

3.6. სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებში ცვლილების შეტანა ხორციელდება ამ მუხლის 3.2 – 3.5 პუნქტებით დადგენილი პროცედურებით.

3.7. ნებისმიერი ცვლილება და/ან დამატება კოლეჯის სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებში გამოქვეყნებულ უნდა იქნეს საჯაროდ კოლეჯის ვებ-გვერდზე.

მუხლი 4. სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის მონიტორინგი და ანგარიშგება

- 4.1. სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის მონიტორინგის მიზნით სასწავლო პროცესის მენეჯერი, ხარისხის მართვის მენეჯერი და დირექტორის მოადგილე ყოველი სასწავლო წლის ბოლოს ამზადებენ ანგარიშებს შესრულებული სამუშაოს შესახებ.
- 4.2. კოლეჯის დირექტორი განიხილავს წარდგენილ ანგარიშებს შესრულებული სამუშაოს სტრატეგიულ გეგმასთან შესაბამისობაში შემოწმების მიზნით.
- 4.3. შემაჯამებელი ანგარიშების საფუძველზე კოლეჯის დირექტორი ადგენს წლიურ ანგარიშს.
- 4.4. კოლეჯის დირექტორი აბარებს ყოველწლიურ ანგარიშს სამეთვალყურეო საბჭოს, კოლეჯის საგანმანათლებლო, ფინანსური და კანონმდებლობით ნებადართული სხვა საქმიანობის შესახებ.
- 4.5. სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების გადახედვა ხორციელდება ყოველი სასწავლო წლის დასრულებისას.

